

განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ელექტროენერჯის წარმოშობის
სერტიფიკატების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში:
გამოწვევები და პერსპექტივები

ნუცა ოსიაშვილი

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი სამხარაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნუცა ოსიაშვილი, 25.06.2024.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება განახლებადი ენერჯის განვითარების მხარდამჭერ სქემათა ერთ-ერთ ნაირსახეობას - განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატების სამართლებრივი რეგულირების გამოწვევებსა და პერსპექტივებს. მასში ევროპული კავშირის რელევანტურ სამართლებრივ აქტებთან ეროვნული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ის ნაკლოვანებები, რომელიც ქართულ წარმოშობის სერტიფიკატებს ხელს უშლის სტანდარტების დაკმაყოფილებაში. მათ შორისაა, სერტიფიკატების გამჟღავნების წესებისა და ეროვნული ნარჩენი ნაზავის გამოთვლის მეთოდოლოგიის არ არსებობა, რაც აფერხებს სისტემის ფუნქციონირებას და აქვეითებს მისი სანდოობის ხარისხს.

სამაგისტრო ნაშრომი იურიდიულ და არაიურიდიულ კვლევის მეთოდების გაერთიანებით პასუხს სცემს შემდეგ კითხვებს - რა წინაპირობებმა განაპირობა სერტიფიკატების სისტემის დანერგვის საჭიროება, რამდენად შეესაბამება საქართველოში არსებული მოდელი და მარეგულირებელი კანონმდებლობა ევროპულ სტანდარტებსა და სამართლებრივ აქტებს, რა პერსპექტივის მატარებელია სერტიფიკატების სისტემა საქართველოსთვის. კვლევა მოიცავს, როგორც ხარვეზების იდენტიფიცირებას, ასევე, რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებასაც შეუძლია პოზიტიურად შეცვალოს არსებული მდგომარეობა. დასახულია კონკრეტული ნაბიჯები, როგორცაა სისტემის სანდოობისათვის გაანგარიშების აღიარებული მეთოდოლოგიის დამტკიცება და სათანადო აუდიტი პროცედურების შემოღება. ამასთანავე, მოცემულია უფრო ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, რომელიც რელევანტურ პოლიტიკის დოკუმენტებში ცვლილებების განხორციელებას და საგანმანათლებლო კამპანიას მოიცავს განახლებადი ენერჯის წყაროების განვითარების მნიშვნელობისა და გზების შესახებ.

საძიებო სიტყვები: განახლებადი ენერჯის სამართლებრივი რეგულირება, განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატები, მხარდაჭერის სქემები, „მწვანე“ წყალბადი.

Abstract

Presented work is about one specific variety of renewable energy support schemes – challenges and perspectives of legal regulation of Guarantees of Origin of electricity produced from renewable energy sources. Based on the comparative analysis of the national legislation with the relevant legal acts of the European Union, it identifies the shortcomings, that prevent the Georgian guarantees of origin from achieving European standards. It includes non-existent disclosure rules and methodology for calculating national residual mix, which hinders functioning of guarantees of origin system and decreases its reliability. Also, the superficiality of the audit procedure and less guarantees of impartiality.

With uniting legal and not legal research methods master thesis answers the following research questions: Which prerequisites caused need of implementing guarantees of origin system?, How compliant is Georgian model and regulatory framework with European standards and legal acts?, What perspectives do guarantees of origin system has for Georgia?. Research contains both identification of flaws and recommendations, the consideration of which can positively change the current situation. There has been set specific steps, such as the approval of a recognized calculation methodology for system reliability and the introduction of appropriate audit procedures. Moreover, more general recommendations are given, which includes the implementation of changes in relevant policy documents and an educational campaign about the importance and ways of developing renewable energy sources.

Key words: Legal regulation of renewable energy, Guarantees of origin of electricity from renewable sources, Support schemes, “Green” hydrogen.